

2019 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების

გრანტით დაფინანსების კონკურსი

ხშირად დასმული შეკითხვები

1) კვლევითი ვიზიტის ფარგლებში, აუცილებელია თუ არა დოქტორანტს ჰყავდეს კონსულტანტი?

პასუხი: დიახ. კონსულტანტი შეიძლება იყოს როგორც ქართველი, ასევე უცხოელი ფიზიკური პირი.

2) უცხოეთში კვლევითი ვიზიტის შემთხვევაში, აუცილებელია თუ არა კონსულტანტი აფილირებული იყოს იმ ინსტიტუციასთან, სადაც მივდივარ კვლევითი ვიზიტით?

პასუხი: არა, აუცილებელი არ არის.

3) უცხოელი კონსულტანტის შემთხვევაში, თუ ვებ გვერდი მივუთითეთ, ცნობა სამსახურიდან მაინც აუცილებელია რომ ავტვირთო?

პასუხი: იმ შემთხვევაში, თუ ვებ-გვერდიდან დასტურდება "მისი დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და აკადემიური/სამეცნიერო პოზიცია", საკმარისად ჩაითვლება. სხვა შემთხვევაში, საჭიროა მისი დამსაქმებელი უმაღლესი საგანმანათლებლო ან/და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა - 2019 წლის მდგომარეობით.

4) უცხოელი კონსულტანტი როდესაც გამომიგზავნის CV-ს ინგლისურად, ასევე თანხმობის წერილს ინგლისურად, საკმარისია თუ არა ქართულად CV და თანხმობის წერილი თავად გადავთარგმნო თუ ნოტარიულად დამოწმებაც აუცილებელია?

პასუხი: CV-ის ქართული თარგმანის დამოწმება თარჯიმანთა ბიუროს მიერ აუცილებელი არ არის. რაც შეეხება თანხმობის წერილს, მისი ქართული თარგმანის დამოწმება თარჯიმანთა ბიუროს მიერ აუცილებელია.

5) უცხოეთში კვლევითი ვიზიტის შემთხვევაში, საჭიროა იმ უნივერსიტეტის თანხმობა წერილობითი ფორმით, სადაც განვახორციელებ კვლევით ვიზიტს თუ მხოლოდ კონსულტანტის თანხმობის წერილია საკმარისი?

პასუხი: საკმარისია მხოლოდ კონსულტანტის თანხმობის წერილი.

6) შესაძლებელია თუ არა შეჩერებული სტატუსით მონაწილეობის მიღება კონკურსში?

პასუხი: დიახ, შესაძლებელია. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, გრანტის მიმღებმა უნდა გააიქტიუროს სტუდენტის სტატუსი.

7) სავალდებულო არის თუ არა რომ სადისერტაციო თეზისის დამტკიცებული სათაური და პროექტის სათაური იყოს იდენტური?

პასუხი: აუცილებელი არ არის, რომ პროექტის სათაური იყოს იდენტური დისერტაციის თეზისისა, თუმცა, აუცილებელია, რომ თემატიკა იყოს იგივე, რათა შემდგომ პროექტის ფარგლებში დადგინდეს აქტივობებისა და ვალდებულებების შესრულება.

8) შეიძლება თუ არა პროექტში გავითვალისწინოთ ხელმძღვანელის უცხოეთში კონფერენციაში მონაწილეობის ხარჯები? -

დოქტორანტურის საგანმანათლებლო-კვლევითი გრანტი არის ინდივიდუალური გრანტი, შესაბამისად, გრანტის ფარგლებში ფინანსდება მხოლოდ დოქტორანტი. პროექტი არ ითვალისწინებს ხელმძღვანელის უცხოეთში კონფერენციაში მონაწილეობის ხარჯებს.

9) გრანტის ფარგლებში ანაზღაურდება თუ არა პროექტის მომზადებისთვის საჭირო ხარჯები?

პასუხი: ფონდი არ ანაზღაურებს პროექტის მომზადებისა და წარდგენისათვის გაწეულ ხარჯებს.

10) აუცილებელია თუ არა ბიუჯეტის ყველა ხარჯვითი კატეგორიიდან მოთხოვნილი მქონდეს თანხა?

პასუხი: არ არის აუცილებელი. იმ ხარჯვით კატეგორიაში, რომელშიც არ ითხოვთ თანხას, მიუთითეთ ნული ლარი.

11) საიდან იწყება საანგარიშო პერიოდის ათვლა?

პასუხი: საანგარიშო პერიოდის ათვლა იწყება საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების დღიდან.